№ 264 დეკემბრის 8, შაბათი. 1866—1884 დეკემბრის 8, შაბათი. № 264.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

საქართველოს სახელმწიფო ... ტფილისი ...



## შესანიშნავი მუზეუმი ვინტერისა.



პატივის ცემით ვაც-ნობებ თბილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის 8-დამ მუდამ დღეს, დილის 10 საათ. საღამოს 11-მდის გახსნილი იქნება სახელ-განთქმული სრულიად ევროპაში და რუსეთში ვინტერის მუზეუმი. ჩემი მუზეუმი დიდად წინ დგას და შეუდარებლად უკეთესია სხვა მუზეუმებზე, რა მრავალნახველნი დარწმუნდებიან ადვილად.

მუზეუმში არის შემდეგი განყოფილებანი: I. მეხანიკური კაბინეტი და თაფლის სანთლის ფიგურები. II. საუკეთესო სურათები: შესანიშნავის ქალაქებისა და უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომიანობისა.

III. დიდი კოლექცია ავტომატებისა, პარიჟის გამოფენაზე შეძენილნი, IV. ისპანიის ინკვიზიცია.

მოკლეს ხანში იქნება ახალი გამოფენა, ფასი შესვლისა დაკლებულია: 30 კ., ბავშვები 10 წლისა და სამხედრო მდაბალის ჩინისანი იხდიან 15 კაპ.

იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება კეთილ-ინებებს მობრძანებას ჩემს მუზეუმში, გოლოვინის პროსპექტზე, რაზგოწი ფოსტის პირ-და-პირ. (2—2)



## შინაური ქრონიკა

═ რას მოგვიტანს მომავალი 1885 წელი, ამას ვერვინ იწინასწარმეტყველებს ჯერ-ჯერობით და რომ ამ, სიძვრისაგან მოკაკულს, 1884 წელს ყველა წყევლა-კრულვით გაისტუმრებენ—ცხადია. საზოგადოდ, თუმცა ყოველთვის ასეა, ძველს სამდურავით ისტუმრებენ და ახალს-კი იმედებით ეგებებიან ხოლმე,—მაგრამ ამ შემთხვევაში 1884 წლის სამდურავი ყველას ჭმართებს. სხვა ნაკლოულევანებათა გარდა ერთი ფრიად საგრძნობელი ნაკლოულევანებაც დასჩემდა მიმავალს წელს—ეს იყო უფულობა, რომელიც თითქმის ყოველს წრეში გამეფდა.

აი, მთელი უწყება, სადაც უჩივიან ამავ სენს:

მესამე თვეაო, რაც თბილისის სამკურნალოში მოსამსახურეთა—უფროსის ექიმისაგან დაწყებული უკანასკნელ „სტოროჟამდის“—ჯამაგირი არ მოუღიათო. როგორც მოგეხსენებათ ეს სამკურნალო პრიკაზის ხელში იყო და ეხლა, როდესაც პრიკაზი გაუქმდა, სამკურნალოს გამგებლობა გადაეცა საქალაქო საზოგადოებას. მაგრამ ამ გადაცემის დროს, როგორც გადმოგვცეს, დავიწყნიათ „სმეტის“ გადაცემაც ხსენებულის საზოგადოებისათვის. ნამდვილად არ ვიცით ამ გარემოების მიზეზი სმეტის გადაუცემლობაა, თუ ზემოდ-მოხსენებული „საზოგადო სენი“, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ისეთს დაწესებულებაში, როგორიც „სამკურნალოა“, სადაც ყოველი მოსამსახურე კმაყოფილი, მადლიერი უნდა იყვეს, სამის თვის განმავლობაში მოსამსახურენი უჯამაგიროდ თურმე სხედან.

═ ხევიდგან გვატყობინებენ, რომ მამასახლისების და «სუდიების» ამორჩევის დრომ მოაღწია და ხალხს რაოდენიმე მოძრაობა დაეტყოვო. ზოგიერთი პირი ეხლავე ცდილობს, რომ მომხრენი იშოვნოს და იმას კი აღარ დაეძებს ამ საქმისთვის სასარგებლო იქნება თუ არა, ხალხის გართვასა და გაძღოლას შეიძლებს თუ არაო.

არ შეგვიძლიან მთის ხალხს არ მოვაგონოთ, რომ რიგიანს „სუდია“ „მამასახლისზე“ არის დამოკიდებული ხალხის ცოტაოდენი მოსვენებული ცხოვრება და ამისთვის გავაფთხილებთ, რომ მმართველად სხვა-და-სხვა გაიძვერა პირადი სარგებლობის მიმდევარნი არ ამოირჩიონ.

═ იქიდამვე იწერებიან, რომ იმ ორი ჩაფრის მკვლელნი, რომლებზედაც ცნობა ჩვენის გაზეთის წინა ნომრებში იყო მოყვანილი, აქამდის ვერ აღმოუჩენიათ და არც არავინ განსაკუთრებით თავს არ იტკივებს იმათ პოვნისთვისაო.

მართლადაც განსაცვიფრებელია ხევის ასეთი მდგომარეობა, რადგანაც მას შემდეგ დიდი ხანი არ არის, რაც იმ ადგილებში არამც თუ კაცის მკვლელი ვერ დაიფარებოდა, არამედ უბრალო ქურდიც-კი მალე გამოაშკარავდებოდა ხოლმე და ღირსეულს

---

## «დროების» ფელეტონი, დეკემბ. 8-ს

### უცხოელის აზრი «ვეფხვის-ტყაოსანზე»

პოემის გადმოთარგმნის გამო

### ფრანცუზულს ენაზე.

(შემდეგი*)

რუსთაველს ძალიან ცოტა პოეტური სახეები აქვს ხელ-ქვეშა. იგი არ იღლება თავის გმირების შედარებით მზესა და მთვარესთან. რა დიდია ამ მხრივ განსხვავება რუსთაველსა და ვიქტორ-ჰიუგოს შორის, რომელიც, ქალზე ლაპარაკის დროს, სრულიად სხვა ეპიტეტებსა ხმარობს, ვიდრე ის გაუთავებელი შედარება გმირებისა და ცათა მნათობებისა! საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ამ გვარი სახეები უფრო ლირიკულს პოეტს შეეფერება და ეპოპეიის ლექსად მთქმელს ეპატიებოდა, რომ სრულიადაც არ მიემართნა მათთვის. ასე გადაჭარბებით ხსენება ცის მნათობებისა, ხშირად ხმარება სიტყვებისა: ვარდი, ბროლი და ედემის ხე, რომელნიც შეადგენენ მთელს რეპერტუარს პოეტის მეტაფორულის ენისას, გვიშლის დავსტკბეთ პოეტის ქმნილებით და აწარმოებს მკითხველებზე ფრიად უსიამოვნო შთაბეჭდილებას, ხოლო ხანდახან კიდეც გვიშლის თვით პოემის გაგებას.

ამ შენიშვნით, არა მგონია, იმ შეცდომაშივე ჩავვარდე, რისთვისაც მე ვესაყვედურებოდი ჩვენს თანამედროვე მკითხველებს ერთს ჩემს წინა ფელეტონთაგანში: მე არ ვითხოვ ძველის პოემისაგან იმ გვარს სიმდიდრეს, რომელიც ენასა და იმ დროის ლიტერატურულ განვითარებას არა ჰქონოდეს, რადგან მე დავასახელე ზემოდ რუსთაველის ერთი თანამედროვეთაგანი, რომელიც ამ მხრივ მაღლა სდგას პირველზე.

მეორე შენიშვნა, რომელიც შეიძლება მიეცეს პოეტს, არის განუწყვეტელი ცრემლთა დენა გმირებისა პოემაში. ყოველ ნაბიჯზე მკითხველი შეეყრება «სისხლის ცრემლებს», „წყაროებს“, «მდინარეებს», «ზღვებს» ცრემლებისას. ეს გარემოება სულს ართმევს კაცს კითხვის დროს და საშინლად ცუდად მოქმედობს. მაგრამ, არ შეიძლება, რომ მეორეს მხრით ბოლომდის არ მოეხდინოდეს ავტორს. რუსთაველი ამბობს—და არც უსაფუძვლოდ:

«თუ მოყვრე მოყვრისათვის ჭირსა,
ტირილსა ემართლების,
სიარული, მარტოობა ჭმუნვის, გაჭრად
დაქთვლებისა.

მე მგონია, რომ ის წუხილი, რომელსაც პოეტი წარმოგვიდგენს, თითქო გარემემო იყო გავრცელებული მაშინ და შეესაბამებოდა მის თანამედროვეთა საზოგადო გემოვნებას. ასეთი დრო, შავი და ბნელი დრო წუხილისა არსებობდა არა მარტო საქართველოში. ჩვენ ვხედავთ მას აზიაში, მე-VI საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინად, ხოლო ევროპაში I-დამ მე-X საუკ. ქრ. დაბ. შემდეგ, სადაც მან დაჰბადა ბერული ასკეტიზმი, ხორცის გვემა და მოკვდინება; ამ ჩვენს საუკუნეშიაც იგი გამოიხატა გიოტეს «ვერტერში», შატობრიანის «რენეს» სულთქმა-ოხვრაში, ბაირონის პესიმისტურ დაცინვაში და ლერმონტოვის ღრმა ნაღვლიანობაში. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ პოეტის გენიოსობა ჰქმნის მთელის ქვეყნიერობის გონებრივს ვითარებას,—პირიქით, ქვეყნიერობა თავად ჰქმნის პოეტებს თავისებურად. ყვავილი კი არა ჰქმნის ნიადაგს, ნიადაგი ჰქმნის ყვავილს. ასე უყურებს ამ საგანს თანამედროვე კრიტიკა—ასული პოზიტიურის მეცნიერებისა. ბ. ტენი თავის „ხელოვნების ფილოსოფიაში“ ამბობს, რომ ჩემის მეთოდის მთავარი საფუძველი ის არის, რომ ამ მეთოდით ხელოვნური ნაწარმოები განიხილება, როგორც კერძო მოვლენა კი არა, არამედ როგორც შედეგი მრავალ სხვა მოვლენათა, რომელნიც განმარტავენ და შეავსებენ იმასაო. ამ წესს რომ მივყვეთ, იქნება, ძნელი არ იყოს, მოვსძებნოთ დასაბამი იმ ცრემლებისა, რომლითაც რუსთაველის გმირები „რწყავენ ველთა“.

მივიღოთ, მაშ, წესად, რომ „ნაწარმოები ხელოვნებისა დამოკიდებულია იმ გარემოს განვითარებასა და ზნეობრივს სიმაღლეზედ, რომელშიაც იგი გაჩნდა“, და ვსთქვათ, რომ არსებობს ისეთი გონებრივი ვითარება, რომელშიაც უპირატეს ელემენტს წუხილი და ნაღვლიანობა შეადგენს. ეს წუხილი, შეიძლება, წარმომდგარიყო ანუ მტერთა ხანგრძლივის შემოსევითა და თავს-დასხმით, ან სიმშილით, ან ჟამით, ან ომით. ცხადია, რომ უბედურება, რომელიც მწუხარებაში ჩააგდებს საზოგადოებას, იმავე დროს ანაღვლიანებს პოეტსაც და ეს მით უფრო, რომ პოეტი მეტად ჰგრძნობს ხალხის უბედურებას, ვიდრე სხვა ვინმე. იქნება მითხრან ამაზე, რომ ეგ მოსაზრება საქართველოზე არ ითქმება, რადგან იგი თამარის მეფობის დროს კეთილ-დღეობაში იყოვო. ძალიან კარგი; მაგრამ უდიდესი პოლიტიკური ფაქტები (სახელმწიფოს არეულობათა გარდა, государственный переворотъ), უეცრივ ხომ არ

*) იხილე „დროება“ № 262.

სასჯელს მიეცემოდა. მხოლოდ რაღას უნდა მივაწეროთ ისეთი შესამჩნევის საქმის ჩაფარცხვა, როგორიც ორის მთიულის ჩაფრის ერთად სიკვდილია? აი გამოცანა!..

— ოზურგეთიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ამას წინად ოზურგეთი წყალ-დიდობის გამო სრულიად მოსწყდა დანარჩენს ქვეყნიერობასაო. ბარშემო რაც მდინარენი ჩამოუდიან, არც ერთზე ხიდი არ მოიპოვებოდა და ამ მიზეზით სულითა-და-გულით რომ ნდომებოდა კაცს ოზურგეთიდამ სადმე წასვლა, ან საიდანმე ოზურგეთში ჩასვლა, ვერას გზით ვერ შეიძლებდაო.

— ჩვენ გვაცნობებენ, რომ სოფ. მარტყოფში საქონლის ჭირი გაჩენილა. ბევრს ოთხი და ხუთი საქონელი მოჰკდომია. სოფელს თურმე ბეგარაზე ეძახიან ეხლა და შენი მტერი, თუ ბეგარაზე ეს ჭირიანი საქონელი წაიყვანესო...

— გოგირდის მადნეულობის საწარმოებლადო, კავკასიაში, როგორც გვაცნობებენ რუსული გაზეთები, რუსის კაპიტალისტებისაგან სდგება კამპანია, რომელსაც ჰსურს მთავრობის გარეშე აწარმოვოს ეს მადნეულობა. ამ წარმოებას საგნად ექმნება დააკმაყოფილოს გოგირდის მოთხოვნილება თოფის წამლის კეთების დროს.

— კავკასიის პრესას შეემატა კიდევ ერთი გაზეთი რუსულს ენაზე. დეკემბრის 1-დამ სტავროპოლში გამოიცემა კვირაში ორჯერ, ორშაბათობით და ხუთშაბათობით გაზ. „ჩრდილო კავკასია“ დ. ი. ესეევის რედაქტორობით.

— უსიამოვნო არ იქნებაო, გვწერს ერთი ჩვენი მკითხველთაგანი, რომ სხვა სიტყვებთან ერთად დაგებეჭდათ „დროებაში“ აკაკის სიტყვაც, რომელიც ამ დღეებში გამართული ქართული წარმოდგენის შემდეგ ითქვაო. არც ჩვენთვის იქნებოდა ეს „უსიამოვნო“, მაგრამ „სხვა-და-სხვა მიზეზები“ გვიშლიან.

— თელავიდამ გვატყობინებენ, რომ იქაური წიგნთ-საცავი იანვრის პირველიდამ გაიხსნებაო.

— როგორც ვიცით, ეხლა დიდ-ძალი ბამბა უნდებათ რუსეთში ფაბრიკებისათვის, ეს ბამბა მოდის სამზღვარ გარეთიდამ, უცხო ქვეყნებიდამ, მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასიაშიც შეიძლებოდა ბამბის წარმოება რუსეთისავე ფაბრიკებისათვის; ამ საგანს სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მიაქცია ყურადღება და მეტადრე იმ გარემოებას, რომ თითქმის ყოველ-წლობით, უფრო-და-უფრო დიდ ძალი ბამბა მიდის რუსეთის შიდა გუბერნიებში ამიერ-კავკასიიდამ: ამისათვის ყოველი ღონის-ძიებით ცდილობდა ამ წარმოების გაძლიერებას, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა სიღარიბის გამო, ეს საგანი წინ ვერ წავიდა. დღეს ზოგიერთა რუსეთის ვაჭრებს გამოუცხადებიათ სამინისტროსათვის, რომ ჩვენ გამოვიწერთ ბამბის თესლს და უფასოდ დავარიგებთ ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებში და, ამას გარდა, ვსცდით კიდეც მის სამაგალითოდ დათესვასაო. ამით იმედი აქვთ, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი უფრო ყურადღებას მიაქცევენ ბამბის თესვას, მოვლას და ღირსებას. («მოსკ. უწყებანი»).

— „მოსკოვის უწყებებში“ სწერია, რომ სამხრეთ რუსეთის ერთს მემამულეს (პოლტავის გუბერნიაში) უცდია ღომის მოყვანა ისეთს ალაგს, რომელიც ჭაერისა და ნიადაგის ვითარებით წააგავს იმერეთის იმ ადგილების ვითარებას, სადაც ღომი ისე მშვენივრად მოდის და იზრდებაო. მემამულეს ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და ღომი კარგი მოსულა, მხოლოდ ისე მაღალი ვერ გაზრდილა, როგორც იმერეთში იზრდებაო.

— „ნოვოე ობოზრენიეს“ გაუგონია, რომ „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“ შუამდგომელობს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე თბილისის აკლიმატიზაციურს ბაღთან პირველ-დაწყებითი სკოლის გამართვის თაობაზე. ამ სკოლას საგნად ექნება მებაღეების მომზადებაო.

— „მმართებლობის მოამბის“ სიტყვით, ხელმწიფე იმპერატორს უმაღლესად უბრძანებია ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტთან მოსამზადებლის კლასის გახსნა. ვინც იცის, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან მშობლები თავიანთ პატარა ქალების მომზადების დროს ამ სასწავლებელში მისაცემად, დაგვეთანხმება, რომ ხსენებული განკარგულება მეტად სასარგებლო უნდა იყოს ჩვენთვის, რადგან მოსამზადებელს კლასში პირ-და-პირ მოუმზადებელი და რუსულის უცოდინარი ქალების მიბარება შესაძლებელი იქნება.

— „ნორ-დარის“ სიტყვით, თავრიზში სომხის ახალგაზდობას „საკვირაო გაზეთის“ გამოცემა განუზრახავს სომხურს ენაზე.

## უცხოეთი.

ამერიკის რესპუბლიკა. საზიზღარი საქმე ჩაიდინა დამარცხებულმა ბლენმა. რაკი ველარას გზით ველარ უშველა თავის კანდიდატურას და კლიველანდმა თითქმის ყველა შტატებში აჯობა და იქმნა ამორჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტად, ბლენმა შემდეგს უკაცურს აგიტაციას მიმართა: ზანგებს შორის მოჰყვა ქადაგობას, რომ კლიველანდის არჩევით ამათ დაუბრუნდებათ ძველი დრო, მონობა ისევ შემოღებულ იქმნება, მტარვალობა ისევ თავს იჩენს ამერიკაშიო. ისეთს ყრუ ხალხზე, როგორიც ზანგები არიან, რაღა ეკვია, გავლენას იქონიებდა ამ გვარი ქადაგება, ზანგები აჯანყდენ. ზოგნი, თითქოს მოშინაურებულნი ცივილიზაციის გავლენით, გარბოდენ კანადაში, სტოვებდენ სახლ-კარს, ოჯახობას, ზოგნი თავს იკლავდენ, ცოლ-შვილებს ხოცვიდენ და „თეთრებს“ ჟლეტდენ და სხვა სიმხეცეს სჩადიოდენ. მაგრამ გამოჩნდენ რამდენიმე გავლენიანი პირნი ზანგთ-შორის, რომელთაც მოსპეს ეს არეულობა და დაამშვიდეს გააფთრებული ხალხი. და ბლენმა-კი ამ გვარის საქციელისათვის თვისი მომხრე-

---

იბადებიან ქვეყანაზე; საზოგადოებრივ მოვლენათა შორის ყველაფერი იზრდება და მიიწევს წინ თან-და-თან, ისე რომ ზოგიერთა ისტორიულის ფაქტების კეთილი შედეგნი მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, რამდენიმე თაობათა შემდეგ იჩენენ ხოლმე თავს. ამით აიხსნება სახელდობრ ის გარემოება, რომ მონარხების სახელები შეიმკობიან ხოლმე ტიტულით «დიდი» მხოლოდ კარგა ხანი რომ გავა ხოლმე მათ სიკვდილის შემდეგ, როცა ქვეყნის აყვავებული მდგომარეობა ჰმოწმობს იმათს გენიოსობას, ვინც დიდის ხნით ადრე მიიცვალნენ. რუსთაველს რომ შვილები და შვილის-შვილები დარჩენოდა, და მათ მემკვიდრეობით მისი პოეტური გენიოსობა გამოჰყოლოდათ, იგინი უთუოდ საქართველოს აჩუქებდენ ისეთს ეპოპეიას, რომელიც შეაქებდა დიდის მეფის ცხოვრებას სრულიად სხვა ძლიერებისა და სიხარულის კილოთი. ხოლო თვით რუსთაველმა ეს ვერ მოახერხა, რადგანაც თავის თანამედროვეთა მოთხოვნილებასა და გემოვნებას ექვემდებარებოდა.

რუსთაველი ემორჩილებოდა ამავე გემოვნებას თავის თანამედროვებისას და ამიტომ ჩაურთო თავის პოემაში რამდენიმე სისხლით სავსე სცენები, თუმცა ეს სცენები, ჩემის აზრით, სძაგდენ მას. ომიანობის უბედურება არავითარს კმაყოფილებას არ შეადგენს პოეტისათვის, თუმცა ომი ხატაველთან აწერილი აქვს მას მშვენივრად და ბრწყინვალედ. ზოგიერთა ადგილები, როგორც, მაგ., ის, როცა ტარიელი ამბობს:

«შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა, ვითა ქორი»,

ანუ:

«და ერთობ სრულად ამოვსწყვიტე წინა გერძი რაზმი ორი»

ცხოვლად მოგვაგონებენ სცენას Chanson de Roland-იდამ.

აქ მინდოდა, ბარემ, შევხებოდი ერთს მეტად საჩოთირო ეპიზოდს, რომელიც ადვილად შეიძლება ცოდვად ჩაეთვალოს „ვეფხვის-ტყაოსნის“ ავტორს: ნესტან-დარეჯანი ითხოვს ტარიელისაგან, რომ მან მოჰკლას ახალგაზდა კაცი, რომელიც მისთვის ქმრად უნდათ მის მშობლებს. მაგრამ ამ საგნის გამო მსურს მე გამოვიდო თავი და დავიცვა ნესტანი. იგი ამბობს:

«რა მოკიდეს, სიძე მოჰკალ, მათთა სპათა აუწყვეტლად»,

და შემდეგ:

«ასრე ჰქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
«მიჰპარვით მოჰკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა ვითა ვირთაო,
დიდი სისხლი უბრალო გაცმანცა ვით იტვირთაო».

მე ვგონებ, რომ ეს უკანასკნელი სიტყვები საკმაოდ ამართლებენ და ბოდიშსა ხდიან ნესტანს... მართლაცა და, განა სრულიად ბუნებრივი მოვლენა არ იქნებოდა, რომ სჯავრებოდა ის უცხოელი, რომელსაც უნდა განეშორებინა იგი თავის სატრფოსაგან? განა, ნამდვილად, ეხლანდელი ჩვენი დუელები ისევ ეს არ არის? ნესტან-დარეჯანი არა ჰხედავდა გარეშემო არავითარს სხვა ღონის-ძიებას გაჭირვებულის მდგომარეობიდამ გამოსვლისათვის და მართლაც არ იყო არავითარი სხვა ღონისძიება. იმ დიდის ხნით გამქრალს დროს მშობლები რჩევაში არ შედიოდენ თავიანთ ქალებთან მათ გათხოვების დროს, მეტადრე მაშინ, როცა გათხოვება პოლიტიკურის მოსაზრებით იყო გამოწვეული; აი რისთვის ჰკიდებს ხელს ერთად ერთს შესაძლებელს გარდაწყვეტილებას, მაგრამ ამასთანავე არ ივიწყებს, სთხოვოს თავის საყვარელს მიჯნურს, ერთის მეტი სხვა არავის სიცოცხლე არ დაჰკლოს, რადგან მე მძაგს უბრალოდ დაღვრილი სისხლიო:

„დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქნები შუა გდლად“.

რუსთაველი მეტად გულდადებით და ზრუნვით ეკიდება ამ ორის ხასიათის დახატვას და ამიტომ ამ გარემოებას შემოქმედობის (კომპოზიცია) მოუხერხებლობით ვერ ავხსნით: არა, როგორც სხვაგანაც, იგი მისდევს ფაქტებისა და ამბავთა ლოღიკას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კაცთ-მკვლელობა საშუალო საუკუნოებში ისეთს შიშსა და ძრწოლას არ აგრძნობინებდა კაცს, როგორც ეხლაა, ჩვენს კაცთ-მოყვარე საუკუნეში, და უნდა მივყვეთ მუდამ იმ ჭეშმარიტებას, რომ კაცობრიობის სინიდისი, ისე როგორც სხვა ყოველივე ამ ქვეყნიერობაზე, არ დარჩა განვითარების საზოგადო კანონებს გარეშე; „უკეთუ ეს ჭეშმარიტება არ გვესმის, ამბობს ერთი დიდი მოაზრეთაგანი—ყველაფერი წარსულ მატიანეებში გაუგებარ სკანდალად გვეჩვენება; უიმისოდ არავის არ შეუძლიან თვალ-ყური ადევნოს ბრწყინვალე და სხივოსან კანონებს პროგრესისას, რომელნიც ამაღლებენ კაცის სინიდისს და ასადგურებენ მას წმინდა უზაკველ სიმართლესა და სიტკბოების ბინაზე“.

(დასასრული შემდეგ.)

ნიც-კი მოსისხლე მტრებად გაიხადა და ყველა გაზეთები ამერიკისა ჰკიცხვენ, რასაკვირველია, მისს მოქმედებას. რამდენი შემატა ამით ბლენმა კლივლანდს, თქვენ იანგარიშეთ.

**საფრანგეთი.** იმ დროს, როდესაც ინგლისურის გაზეთების ყოველს №-ში შეხვდებით ურიცხვ დეპეშებს ჩინეთიდამ შესახებ იმისა, რომ ჩინეთის მთავრობა დიდს მზადებაშია საფრანგეთთან ომისათვის, რომ იგი თამამად დაუხვდება საფრანგეთს ზღვაშიაც და ხმელეთზედაც,—მარკიზ ძინგს ჩინეთის წარმომადგენელს საფრანგეთში გაცხარებული მოლაპარაკება აქვს ლორდ გრანვილთან, ინგლისის წარმომადგენელთან, რომ როგორმე თანხმობა ჩამოუვარდეს საფრანგეთსა და ჩინეთს შუა. მაშ, ეტყობა ყველა ეს ტელეგრამები ჩინეთისაგან მანქანება ყოფილა, რომ დაცულ იქმნას მისი ინტერესები, თუ არა და საომრად მზად ვართო. ჩინეთის მთავრობა თითქოს ფახს აძლევს ამ გვარის მოქმედებით, მაგრამ საფრანგეთი, აბა, რას დაიმცირებს თავს მასთან.

მაშ. «მოლოუას» სიტყვით პრინც ჟერომ-ნაპოლეონს განზრახვა აქვს ამ დღეებში გამოსცეს ხელის მოუწერლად მანიფესტი, სადაც დაწვრილებით იქმნება აღწერილი ნაპოლეონისებური პოლიტიკა იმ სახით, როგორც ეს ესმის ეხლანდელს მეთაურს ნაპოლეონის დინასტიისას.

**გერმანია.** აგერ რამდენი ხანია, რაც ბერლინში გახსნილია კონფერენცია აფრიკის დასავლეთ ნაპირთა განაწილების შესახებ. ამ ნაპირებზე თითქმის ევროპის ყველა სახელმწიფოთა განაცხადეს დავი. ჯერ კონფერენციას არ გაუთავებია სჯა ამ საგანზე, მაგრამ რამდენიმე სახელმწიფოთა დაუსწრიათ კონფერენციის გადაწყვეტილებისათვის და გემებით მიმდგარან ხსენებულს ნაპირებზე ადგილების დასაჭერად.

ბრაუნშვეიგის ჰერცოგის სიკვდილის შემდეგ პირველს ხანებში საზოგადო აზრი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ტახტი კუმბერლენდის ჰერცოგს დაეჭირა; მაგრამ ამ უკანასკნელს ხანებში, როგორც იწერება „კელნის გაზეთი“ ეს აზრი შეიცვალაო. და ამ შეცვლის მიზეზი კუმბერლენდის ჰერცოგის მომხრეთა მეცადინეობა არისო, რომელნიც არწმუნებენ ხალხს, რომ ჰერცოგის ტახტზე შესვლით, ბრაუნშვეიგში დასახლდება მდიდარი და ბრწყინვალე სახლობა და განოვერის მდიდარი ველფის აზნაურნიც ბრაუნშვეიგს მოაშურებენო. ჰერცოგის მომხრენი ძლიერ სცდილობენ მათ აზრს გასავალი ექმნეს სოფლის მცხოვრებთ შუაც.

---

## ს ა ზ ა ბ ს ო

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგს შენიშვნას:

ვილაც ქუთაისელი «კრიკრი» «დროების» 258 №-ში იწერება ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმეებზედ. სხვათა შორის კორესპონდენტი შეეხება ორს იმისთანა საგანს, რომელიც ჩვენ ვალდებული ვართ განვმარტოთ საზოგადოების წინაშე, თორემ ბატ. კორესპონდენტთან გამობაასება, მეტადრე ჩვენს პიროვნობაზედ, სრულიად ურიგოდ მიგვაჩნია.

კორესპონდენტი იწერება, რომ „თითქმის ოთხი თვეა, რაც ერთი დირექტორთაგანი შინ ბრძანდება, სწერენ, სამსახურში გამოცხადდი, მაგრამ პასუხსაც არ იძლევა და ჯამაგირს კი სრულად იღებსო. რომ ბანკის საქმეები არ შეჩერდეს, მის მაგიერ მისი კანდიდატი უნდა მოიწვიონ და ამ უკანასკნელს ცალკე ჯილდო უნდა აძლიონო». ეს მართალია, მაგრამ ბანკის გამგეობა ამ საქმეში დანაშაული სრულიად არ არის. საზოგადო კრების გარდაწყვეტილების ძალით გამგეობის წევრთა დროებით სამსახურისგან განთავისუფლება მინდობილი აქვს ზედამხედველ კომიტეტს. ამ კომიტეტმა მისცა ზემოაღნიშნულს დირექტორს ერთის თვის თავისუფლება. როცა მას ეს ვადა გაუთავდა და არ გამოცხადდა, ზედამხედველმა კომიტეტმა, როგორც თვით კორესპონდენტი იწერება, ზედი-ზედ ორი წერილი გაუგზავნა, რომ დაეჩქარებინა ბატ. დირექტორს სამსახურში გამოცხადება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მობრძანებულა და ჩვენ, როგორც გამგეობის თავმჯდომარეს, არავითარი უფლება არა გვაქვს ძალით მოვიყვანოთ და ან გავამართლოთ ბატ. დირექტორი. ეს საქმე ეკუთვნის ზედამხედველის კომიტეტის და საზოგადოების კომპეტენციას.

მეორე საგანი, რომელსაც ბატ. კორესპონდენტი შეეხება, არის იმ მამულების მდგომარეობა რაც ბანკს დარჩა. მართალია, ბანკს რჩება მამულები, მაგრამ იმდენი არა, რამდენსაც ბატ. კორესპონდენტი ბრძანებს. ზოგიერთი ამ მამულებთაგანი კიდევაც გავყიდეთ, ზოგიერთებს ნაწილ-ნაწილად ვყიდით და რაც ჯერ არ გაყიდულა, ის მამულები ჩაბარებული აქვთ მოსავლელად ბანკის ვექილებს. თბილისის მამულები ჩაბარებული აქვს ბატ. ი. ისარლოვს, (თუ არ ვსცდებით—ეს „დროების“ რედაქციამაც უნდა იცოდეს.) ქუთაისის მაზრის მამულების ვექილია ბატ. ს. წულუკიძე, ლეჩხუმის მაზრის მამულებისა—ბატ. ი. ბელოვანი და ზუგდიდის მაზრის— ბატ. ი. ჯორჯიკია. რაც შეეხება ქუთაისის ქალაქის მამულებს ზოგი აბარია ბატ. ი. ჯაიანს და ზოგს თვით ბანკის გამგეობა უვლის. ახალციხეში დაგვრჩა ორი სახლი, რომელსაც ეხლა ვიბარებთ და ჩაბარებისათანავე ვექილსაც დავნიშნავთ.

როგორც სჩანს, არც ერთი მამული უყურადღებოდ არ დაგვიგდია, ყველას ჰყავს მიჩენილი კაცები. შეიძლება ეს კაცები ისე ვერ უვლიდენ მამულებს, როგორც ჩვენთვის სანატრელია, მაგრამ რა ვქნათ? აქ ბრალს ვერავის დავსდებთ, ამის მიზეზი თვით მამულის მდგომარეობაა და არა სხვა ვინმე. უმთავრესი ჩვენი ყურადღება იმაზედ არის მიქცეული, რომ მამულები ბევრს ხანს არ დარჩეს ჩვენს ხელში, მეურნეობა და ოჯახობა ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ ფული უნდა ავიღოთ და რაც ადრე გავყიდით მამულებს, ჩვენთვის ეს უფრო მოგებაა. ღვთის მადლით, რაც კი მამულები გაგვიყიდია ჯერ ჯერობით არც ერთში ზარალი არ გვინახავს.

მაშ რაში ვართ ჩვენ დანაშაული? შეიძლება ჩვენ რამეში ვსცდებოდეთ, მაგრამ ვინ არის იმისთანა, რომ სთქვას, მე შეუცდომელი ვარო? ვისაც ჩვენს ბანკზედ გული შესტკივა, ვინც მის გამგეობის მოქმედებაში შეცდომილებას ჰხედავს, რაზედ არ აგვიხელს თვალს, რაზედ არ მობრძანდება თვით ბანკის სამმართველოში და არ გვეტყვის ამას გულადად და პირმოუფერებლად? ჩვენ მზადა ვართ ყოველი დარიგება, ყოველი რჩევა სიამოვნებით და მადლობით მივიღოთ. ჩვენ ჩვენს მოქმედებაში დასამალავი არა გვაქვს-რა, ყველას შეუძლია მობრძანდეს, განიხილოს ჩვენი წიგნები, ჩვენი მოქმედება, შეიტყოს საქმის გარემოება და თუ რამე ბოროტ-მოქმედება დაინახოს, მაშინ, მხოლოდ მაშინ დაგვდვას ჩვენ ბრალი—ამათ ჩვენ გავსცემთ პასუხს—და რაც შეეხება უსახელოს და პირ-ჩამოფარებულს მწერლებს, ჩვენ მათის პასუხისათვის არა გვცალიან.

გამგეობის თავმჯდომარე
დ. დადიანი.

პ. მ. ვსთხოვთ „კავკაზის“ რედაქციას, ეს წერილი გარდაბეჭდოს თავის გაზეთში.

დეკემბრის 4-ს.
ქუთაისი.

---

## პასუხი

პედაგოგიური ჟურნალის „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელს ბატ. ღულაძეს.

ბატ. ღულაძე მეტად მდიდარი გხლებიათ. ჩვენსკენ გამოსასროლად მას ჰბადებია მხოლოდ ერთად-ერთი გოროხი, რომელიც ვიდრე მიზნამდის მიაღწევდა, თავის თავადვე დაიშალა და ნაცრად იქცა. მაგრამ მან ეს აინუნშიაც არ ჩაიგდო. როგორც ძალიუან გულადმა კაცმა, ერთი საარაკო გმირისავით ისკუპა და ცეცხლიდგან ალში აპირებს ჩავარდნასა, ანუ, გრიბულისავით, წვიმისაგან შეშინებული მდინარეში უნდა ჩახტეს. იყოს ნება მისი.

დიაღ, ბატ. ღულაძემ პოლემიკის წვენი სწვნია, აშკარად დაინახა, რომ საქმე თავს არ მოუდისო და, დავთარ დაკარგულივით, ხელი წაატანა უარესს ლონის-ძიებას. იგი გვთხოვს მედიატორულს სამართალსა.

თუმცა იმ ხმა-მაღლა ჩხავილს, რომელიც ბატ. ღულაძემ ასტეხა ჩვენს წინააღმდეგ, ცუდი სარჩული უძევს,—თუმცა ყოველს მკითხველს ეს მედიატორული სამართალი შეუსაბამო რამმე ეჩვენება და იტყვის: რა მედიატორების დასკვნა მინდა, როდესაც «კონა» ხელში მაქვს, ბატ. ღულაძის წერილიც, ბოგებაშვილის პასუხიც და თვითონვე შემიძლია გავსაჯო საქმეო,—და თუმცა ჩვენი მოწინააღმდეგე ეკუთვნის იმ გვარ პირთა, რომლებთანაც რაიმე საქმის დაჭერა ძნელია; მაგრამ ჩვენ მაინც-და-მაინც ვასრულებთ მის თხოვნას, რადგანაც გვიყვარს მოწინააღმდეგის გაცრუება იმავე იარაღით, რომელსაც იგი ირჩევს.

საჭიროა მხოლოდ, რომ კითხვები დადგენილ-იყვნენ უფრო პრინციპიალურად, უფრო განვითარებით, სახელდობ ამ გვარად: 1) მოყვრულად ექცეოდით ჩვენ ნობათსა და ვცდილობდით მის წარმატებისა და გავრცელებისათვის, თუ არა? 2) საყმაწვილო „კონის“ შესახებ მისი წერილი საფუძვლიანი და ზრდილობიანია, თუ უსაფუძვლო, ბავშური და ბრიყული, და მან ამ წერილით სიკეთისათვის ბოროტი მოგვაგო, ანუ ვინ სტყუის: ბატ. ღულაძე, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ „კონა“ ყოვლად გამოუსადეგარი წიგნაკია, თუ სტყუოდა მთელი კომიტეტი, რომელსაც შეადგენდენ ჟურნალის „კრებულის“ რედაქტორი ბ. კირილე ლორთქიფანიძე და რამდენიმე მისი თანამშრომელი, რომელმაც ათი წლის წინად განიხილა ჩვენი წიგნი და სცნო იგი იმდენად სასარგებლოდ, რომ არამც თუ დაბეჭდა იმ ფულით, რომელიც ბატ. ზარაფოვმა შესწირა ქართული საყმაწვილო წიგნების გამოსაცემად, არამედ კიდეც დააჯილდოვა ზარაფოვისავე ოცთუმნიანი პრემიითა? 3) მართლა ჩვენ რაიმე შეუსაბამო შეურაცხყოფა მივაყენეთ ბატ. ღულაძეს, თუ მისი წერილი სწორედ ღირსი იყო იმ გვარი პასუხისა, რომელიც ვაგეთ მას, და ბატ. ღულაძემ ყასიდად მოიკატუნა თავი, განძრახ ჩასთვალა თავისი თავი შეურაცხყოფილად? 4) სასარგებლოა ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურის აღორძინებისათვის იმ გვარი კიცხვა, რომელიც ბატ. ღულაძემ უძღვნა „კონას,“ თუ მავნებელია და სათაკილო ყოველი ჟურნალისათვის?

თუ მედიატორები აღიარებენ, რომ „კონა“ „ყოვლად გამოუსადეგარი წიგნია“; ჩვენ მის გამოცემას სრულიად მოვსპობთ ამიერ და უკუნისამდე. სამაგიეროდ, თუ ამ მოკლე ხანში ჩვენ დავამტკიცოთ მათემატიკური აქსიომის სიაშკარავით რომ ბატ. ღულაძე, როგორც განუვითარებელი

პირი, შეუძლებელი რედაქტორია და ყოვლად გამოუსადეგარი მასწავლებელი სახელოსნო სკოლისა, მან უთუოდ უნდა გადასცეს ეს ორივე თანამდებობა ნასწავლ და განვითარებულს ქართველებსა და თვითონ დაადგეს იმ ხელობას, რომელიც მას შეეფერება.

ჩვენი მხრით მედიატორეთ ავირჩევია მუდმივი თანამშრომელი „ნობათისა" ბატ. გიორგი წყალტუბელი. ბატ. ღულაძემაც ამოირჩიოს თავისავე ჟურნალის თანამშრომლებში ერთი განვითარებული პირი. ეს ორი პირი თავის მხრით აღმოარჩევენ ერთს დარბაისელს პირსა, გამოცდილს ლიტერატურულს საქმეებში და ამ გვარად სამი პირისაგან შემდგარი სამართალი განსჯის ჩვენს საქმესა და დაბეჭდავს „დროებაში" თავის გადაწყვეტილობასა.

იაკობ გოგებაშვილი.

ქ. მ. ჩვენ საქმე გვექნება მხოლოდ მედიატორებთან, ბატ. ღულაძესთან კი რაიმე ურთიერთობა შეუძლებლად მიგვაჩნია.

ი. გ.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

დეკემბრის 6.

**მოსკოვი.** გუშინ უკანასკნელი სიტყვის თქმის ნება მისცეს ბრალდებულთ. რიკოვის გარდა ყველამ ითხოვა შეწყნარება; რიკოვმა თავისი ავადმყოფობა მოიყვანა მიზეზად და ითხოვა, რომ მისი სიტყვა ხვალისთვის გადაიდოს. სასამართლომ თანხმობა გამოაცხადა.

**შან-ჰაი.** კორეაში, აჯანყების გამო, გაგზავნილ-იქმნენ ჩინეთის კრეისერები.

**კაირო.** რუსეთმა და გერმანიამ ითხოვა, რომ ჰყავდეთ მათ წარმომადგენელნი სახემწიფო ვალის კასაში. ამაზედ ეგვიპტის მთავრობას განზრახვა აქვს უპასუხოს, რომ ეს საგანი მაშინ გადაწყდება, როცა რუსეთისა და გერმანიის პასუხი მოვა ინგლისის წინადადებათა შესახებ ეგვიპტის ფინანსების მოწყობის თაობაზედა.

**ლეიპციგი.** რეინედორფი გამოტყდა, რომ ნიდერვალდში მომხდარს უწესოებაში ისიც ერევა და გამოაცხადა, რომ, ავადმყოფობის გამო, პირადად ვერ მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც ინსტრუქციები და დინამატი ჩემს მომხრეებს გადავეცი.

**პარიჟი.** 3000 ჩინელი წავიდა ფრანცუზებისაგან დაჭერილს ცი-ხის-ჩეს წინააღმდეგ თონკინში, მაგრამ ძლიერ იქმნა მის დასახვედრად გამოსულის ჭარნიზონისაგან.

დეკემბრის 7-ს.

**ორენბურგი.** გუშინ გაიხსნა აქ ვოლგო-კამის ბანკის განყოფილება. პარაკლისის შემდეგ გამართული იყო სადილი, გუბერნიის უფროსმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცასი და მემკვიდრესი; შემდეგ დალიეს ფინანსთა მინისტრისა და სხვათა სადღეგრძელო, ბანკის განყოფილების გახსნას თანაგრძნობით მიეგებნენ.

**მოსკოვი.** უკანასკნელს გრძელს სიტყვაში რიკოვი იმეორებდა მასვე, რაც ადრე სთქვა და თხოულობდა გამართლებას, რომ შეძლებოდა დანარჩენის სიცოცხლის მონასტერში გატარება; ამასთანავე განაცხადა, რომ მსესხებელთა დაკმაყოფილებისათვის რომ ჰკმაროდეს მისი ცოცხლად დაწვა — თვით ის შეუკეთებდა ამ ცეცხლს.

# განცხადებანი


ოდესიდამ მოსულს მასწავლებელს ქალს მუსიკისას, შტორხის მეთოდით სურს მისცეს გაკვეთილები.

ადრესი: „ელბრუსის" სასტუმრო.

(4—3)

ნოემბრის 18-დამ მიიღება ხელის-მოწერა ყოველ დღიურს გაზეთზე

**„თბილისის განცხადებანი"**

1885 წ.

ფასი გაზეთისა: ქალაქის ხელის მომწერთათვის, შინ მიტანით, ერთის წლით 3 მან., ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის გაგზავნით 4 მან.; ცალკე №-ი 3 კაპ.

ვინც ეხლავ მოაწერს ხელს ფას დაუმატებლივ გაეგზავნება გაზეთი 1885 წლის იანვრის 1-ლიდამაც.

კანტორა რედაქციისა იმყოფება ბარიატინსკის ქუჩაზე, როტინოვის სახლებში (ადრე ბელოისა.

რედაქტორი-გამომცემელი
ი. გ. პოპოვი.

(3—3)

**რვეულები**

ქართული წერისათვის, სახმარებელი გოგებაშვილის დედანთან, ისყიდება ზრიქურიოვის წიგნის მაღაზიაში და სარქისოვისაში. ფასი რვეულისა (ორ-თაბახ ნახევარი, ყდის გარდა) ერთი შაური.

(5—2)

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

*на 1885 годъ*

на ежедневную литературно-политическую газету

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

издаваемую въ Тифлисѣ

**(II годъ изданія).**

**Программа** газеты общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ, съ возможно широкимъ развитіемъ мѣстнаго отдѣла.

**Подписная цѣна** съ доставкою и пересылкою въ Россіи: на годъ 10 руб., на полгода 6 руб., на 3 мѣсяца 3 руб. 50 коп., на одинъ мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Подписка принимается: въ Тифлисѣ въ конторѣ редакціи при Газетномъ Агентствѣ В. Шавердова, въ С.-Петербургѣ въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени". Иногородные адресуютъ свои требованія въ Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія", при газетномъ Агентствѣ В. Шавердова.

5—3.

Редакторъ-издатель **А. В. Степановъ.**

მომზადება და გასყიდვა ხსენებულის წასასმელის წამლისა, რომელშიაც არა ვითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება არ ურევია, ნება — დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

„პერუინი"

წვენი პერუვიანელ საბალზამო მცენარეთაგან, დიდის ხნიდამვე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

**ხშირის და ლამაზის წვერის გასაზრდელად.**

წვენი, რომელსაც ამზადებენ პერუვიანელ მცენარეთაგან, როგორც ვიცით, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასასმელ წამლების არევით, იღებს შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირველად სწრაფად ეხმარება მის ზრდას.

ეს საშუალება ისეთი ნამდვილი საშუალებაა,

რომ პერუინის ხმარებით თვით ახალ-გაზრდა ყმაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეზრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

მრავალი სამადლობელი წერილები.

მოწმობენ განსაცვიფრებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ. გაგზავნით ისყიდება რუსეთის ყველა სააფთეკო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის თბილისში საზოგადოება საათფიექო საქონელითა და მასალით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში.

Ц. 19,475.

(10—4)

რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეჭრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის" ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში „კავკასიის საზოგადოება საათფიაკო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს.

Ц. 19,485

(25—4)


Доз. ценз. Тифлисъ, 7 Декабря 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.